საპროექტო ობიექტის
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსის
(მის.: მერაბ კოსტავას № 67/69ა)

სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

წინასიტყვაობა. საპროექტო ობიექტი სტუ-ის II სასწავლო კორპუსი მდებარეობს X კორპუსის მიმდებარედ.

X სასწავლო კორპუსი აშენებულია მე-20 საუკუნის 70-იან წლებში და არ წარმოადგენს ისტორიულ ღირებულებას.

II სასწავლო კორპუსი კულტურული მემკვიდროების ნუსხაში არის შეტანილი, ამიტომ ჩატარდა წინამდებარე სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.

XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული არქიტექტურა. მე-20 საუკუნის დასაწყისში, საქართველოში, წინამორბედ წლებთან შედარებით, იზრდება მშენებლობისა და კეთილმოწყობის მასშტაბები, რაც მთავარია, უმჯობესდება ნაგებობის არქიტექტურის ხარისხი. ამ პერიოდში აგებული მრავალი შენობა დღესაც ქალაქების საუკეთესო სამკაულთა შორისაა. საქართველოს ქალაქებში შენდება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ნაგებობათა მრავალი ტიპის შენობა: ბანკები, სასწავლებლები, სასტუმროები, საავადმყოფოები, საგამოფენო პავილიონები, თეატრები და კინოთეატრები.

საუკუნის პირველ ორ ათწლეულში მოღვაწე არქიტექტორთა შორის, რომელთაგან ზოგი მე-19 საუკუნეში დაწყებულ მოღვაწეობას აგრძელებს, ზოგიც აღნიშნულ პერიოდში იწყებს მუშაობას, გამოირჩევიან: ლეოპოლდ ბილფერდი, კორნელი ტატიშჩევი, ალექსანდრე შიმკევიჩი, ზურაბიანი, ალექსანდრე ოზეროვი, გაბრიელ ტერ-მიქელოვი, ანატოლი კალგინი, ღაზარ სარქისიანი, მიხეილ ოჰანჯანოვი, ალექსანდრე როგოისკი, მიხეილ ნეპრინცევი, სიმონ კლდიაშვილი და სხვ.

გასული საუკუნის 30-იან წლებში თავის თანამედროვე კონტურებს იძენს საქართველოს დედაქალაქი-თბილისი. შენდება საზოგადოებრივი დანიშნულების რიგი რეპრეზენტაბელური შენობები, რომლებიც აყალიბებენ ქალაქის ახალ სახეს. მათ შორის განსაკუთრებით სახასიათოა ისინი, რომლებშიც არქიტექტორები ცდილობდნენ მიემართათ ნაციონალური ხუროთმოძღვრული ტრადიციებისათვის. ასეთებია: დინამოს სტადიონი (1937; არქიტექტორი ა.გ. ქურდიანი 1903-1988), ხაზგასმით არქაიკული საქართველოს ხელოვნების მუზეუმი (1929; არქიტექტორი ნ.პ.სევეროვი), ფუნიკულიორის ზედა სადგურის მსუბუქი და ჰაეროვანი პავილიონი (1938; არქიტექტორები ზ. ქურდიანი და ნ. ქურდიანი), მთავრობის სახლი (I რიგის მშენებლობა, არქიტექტორები ვ.დ. კოკორინი, გ.ი. ლეჟავა), მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა რუსთაველის პროსპექტზე (1938; არქიტექტორი ა.ვ. შუსევი) და სხვ.

პროექტირებასა და მშენებლობაში მოღვაწე ინჟინერთაგან აღსანიშნავია გ. ქურდიანი და პ. მამრაძე. არქიტექტორთა მკვეთრი გამიჯნვა მათ მიერ აგებულ ნაგებობათა ტიპოლოგიის თვალსაზრისით იშვიათად ხდება. სხვადასხვა დანიშნულების

ნაგებობებს, უმთავრესად, ერთი და იგივე ავტორები თანაბრად აპროექტებენ და აშენებენ.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსი, კოსტავას ქუჩიდან



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსი, ეზოს მხრიდან



საპროექტო ობიექტის განთავსება, გენგეგმა



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)



პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

ობიექტი აღრიცხული ძეგლად – კოსტავას ქ.№69;

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

საცხოვრებელი სახლი – კოსტავას ქ.№71;
პოლიტექნიკური უნივერსიტეტი – კოსტავას ქ.№68ბ;
საცხოვრებელი სახლი – პეკინის ქ. №2;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოგრაფიკის“ მიერ, 2007 წ.



აეროფოტო, 2014წ

გეგმა 1975წ



სამისამართო გეგმა, 2000-იანი წწ



გამოყენება: სტუ-ის II სასწ. კორპუსი

თავდაპირველი – თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი;
შემდეგი – საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი;
ამჟამინდელი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

2. სტუ-ის II სასწ. კორპუსის ისტორია

აგების თარიღი – 1948 წ. პროექტი, 1956 წ. დასრულება;
დამკვეთი – საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემია;
პროექტის ავტორი – არქიტექტორი მიხეილ შავიშვილი (ცქიტიშვილი, გვანცელაძე);
არქიტექტურული სტილი – «სტალინისტური ამპირი».
ისტორიული ცნობები – XX საუკუნის 30-იან წლებამდე ეს ადგილი თბილისის გარეუბანს წარმოადგენდა. აქ საბურთალოს მთაგორიან ველებზე გადიოდა საქართველოს სამხედრო გზა. ირგვლივ აქა-იქ იყო მეჩხერი განაშენიანება.

ქალაქის ამ მონაკვეთის ურბანიზაცია დაიწყო მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. 1935 წელს გაიჭრა რკინიგზის სადგურისკენ მიმავალი "ჩელუსკინელების" ქუჩა (ამჟამად თამარ მეფის გამზირი), გმირთა მოედნიდან საბურთალოსკენ განფენილ აღმართზე გაშენდა საკმაოდ განიერი ქუჩა, (ვ.ი. ლენინის სახელობის, ამჟამად მერაბ კოსტავას სახ. გამზირი). ამავე წელს დაიწყო, თბილისში „თერთმეტსართულიანი სახლის" სახელით ცნობილი, პირველი მაღლივი 100 ბინიანი საცხოვრებელი სახლის კომპლექსის მშენებლობა (არქიტექტორები: მ. კალაშნიკოვი, ნ. სევეროვი). აღმართის დასასრულს, 1940 წელს აშენდა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის (შემდგომში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ამჟამად — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) უნიკალური ფუნქციურ-გეგმარებითი სტრუქტურის მქონე I სასწავლო კორპუსის შენობა. (არქიტექტორები: მ. ნეპრინცევი, ნ. გლაზკოვი).

ამავე პერიოდში აშენდა დღევანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსი (მისამართი მ. კოსტავას №69), მის გვერდით საცხოვრებელი სახლი №71, მასიური საცხოვრებელი სახლი პეკინის ქუჩის დასაწყისში (№2) და საპროექტო ინსტიტუტის შენობა დოლიძის ქუჩაზე. 1960-70-იან წლებში კი სპორტის სასახლის (ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. კასრაძე – 1961წ.) და სასტუმრო აჭარის (არქიტ. მ. მელია – 1975წ.) მშენებლობით პრაქტიკულად დასრულდა ამ ურბანული მონაკვეთის განაშენიანება.

საქართველოს ეროვნული არქივის, უახლესი ისტორიის სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში დაცულია საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახლპროექტის" მიერ დამუშავებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის II სასწავლო კორპუსის საპროექტო დოკუმენტაცია – ტექნიკური დასკვნა, გეგმები, ჭრილები და ფასადები (საქმე №3383-3386, ფ.302, ამონაწერი 4.1.).

აქვეა დაცული არქიტექტორ მ. შავიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსის შენობის პროექტი დათარიღებული 1948 წლით.

II სასწავლო კორპუსი აშენდა კოსტავას ქუჩაზე I სასწავლო კორპუსის მოპირდაპირე მხარეს. მშენებლობა დამთავრდა 1956 წელს.

II სასწავლო კორპუსის არქიტექტურული სახე ოდნავ ადრე აგებული I კორპუსისგან (არქიტექტორი ნეპრინცევი) განსხვავებულია, თუმცა სტილისტურად მსგავსია და ორთავე იმეორებს ოვალურად მორკალური დამრეცი ქუჩის ფორმას. მეტი ყურადღება გამახვილებულია ფასადზე კოსტავას ქუჩის მხარეს. იგი ოვალურად არის მორკალური და გათვალისწინებულია ქუჩის აბრისი. დანარჩენი ფასადები ეზოს მხარეს მარტივად არის გადაწყვეტილი სარკმლების თარაზული რიგებით. შენობა მოცულობით, ფორმებით და მხატვრული გადაწყვეტით მნიშვნელოვან აქცენტს ქმნის და განსაზღვრულ ორიენტირად გვევლინება ქუჩისა განაშენიანებაში.



ხედი მთაწმინდიდან, 2014წ.

თავდაპირველი სახე და გეგმარება – ამ ნაგებობის თავდაპირველად ჩამოყალიბებული ზოგადი სახე და გეგმარებება ძირითადად შენარჩუნებულია. არქივში დაცულია ნაგებობის თავდაპირველი პროექტი.



ხედი მთაწმინდიდან, 2014წ.

თავდაპირველი გეგმარება – ნაგებობაში შენარჩუნებულია თავდაპირველი გეგმარება ოდნავი, ცვლილებებით;

სამშენებლო ფენები – არსებობს ორი სამშენებლო ფენა – პირვანდელი, ანუ ძირითადი ოთხსართულიანი ნაგებობა და გვიანდელი. მომდევნო წლებში განხორციელებული ე.წ. „გვიანდელი“ გადაკეთებები უმნიშვნელოა და არ ცვლის ნაგებობის ფუნქციონალურ-გეგმარებით სტრუქტურას.

თავდაპირველი ოთხი სართული – 1950-იანი წლები.

XX საუკუნის II ნახევარში – სამხრეთის მინაშენი კოსტავას ქუჩიდან, რვასართულიანი ახალი კორპუსი ეზოში სამსართულიანი გადასასვლელი ფლიგელით და მანსარდა ჩრდილოეთი ფლანგის ოთხსართულიან ფლიგელზე.

- **ტიპოლოგიური მახასიათებლები** – სტალინისტური სტილის საფასადო სტრუქტურა;

- **ორიენტაცია** – ჩრდილოეთ-სამხრეთი გრძივი მიმართულება;

- **რელიეფი და ნიადაგი** – დაქანებული სამხრეთი მიმართულებით;

- **გეგმა** – გეგმარებითი სტრუქტურა რთულია. დამრეც რელიეფზე მიმართულია ოვალური ფორმის წაგრძელებული ხუთსართულიანი მოცულობა (68X14მ).

რელიეფის ქვედა ნაწილში იგი ფლანკირებულია მაღალი მართკუთხა ექვსსართულიანი კოშკურა ნაწილით (30X25მ), ზევით კი, ოთხსართულიან მართკუთხა „ფეხს“ (36X15მ) იკეთებს. ქუჩისკენ მიმართული ფასადი ოვალურად არის მორკალული, ეზოსკენ კი შეღუნულია. უკანა მხრიდან ვრცელი შიდა ეზოა, რომელიც მოგვიანებით გადაიკეტა კოშკურა ნაწილზე მიდგმილი უსახო სამსართულიანი მოცულობით. ოვალურ ნაწილში სართულების მთელ ოვალზე ქუჩისკენ განიერი დერეფნებია, დერეფნების გაყოლებით კი სხვადასხვა ზომის მართკუთხა სასწავლო ოთახებია ჩარიგებული. ოთხსართულიან მართკუთხა ფლიგელში სართულებზე დერეფანი შუაშია მოწყობილი და მის გარდი-გარდმო ოთახები. მთავარი შესასვლელი ვრცელი ვესიტიბიულით და პარადული კიბით კოშკურა ნაწილშია. კიბის უჯრედები მოწყობილია ფლიგელების ფლანგებზეც;

- **ეზო** – ვრცელი შიგა ეზო;

- **სართულიანობა** – ძირითადი ხუთსართულიანი, ფლანგები ოთხ და ექვსსართულიანი. გვიანი დანამატი რვასართულიანი;

ფასადები შიგანა ეზოში



ოთხსართულიანი ფლიგელი, ხედი ჩრდილოეთიდან





დოკუმენტაცია:



საარქივო ფოტო, 1910-იანი წწ. საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

საარქივო ფოტოები – შემორჩენილია XX საუკუნის ათიანი წლების პანორამული ფოტო სადაც აღბეჭდილია საბურთალოს ველები. ამ დროისთვის აქ ურბანული განაშენიანება ჯერ კიდევ არ არსებობდა;

შეფასება:



კულტურულ-ისტორიული – იგი ძველი თბილისის XX ს-ის შუა პერიოდის საგანმანათლებლო ფუნქციის ნაგებობაა და ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილია;

მხატვრულ-არქიტექტურული – ნაგებობა ორგანულად არის ჩაწერილი თბილისის ამ უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და მორგებულია მასზე. გათვალისწინებულია რთული რელიეფის და ქუჩის თავისებურება. თავისი სტრუქტურით ეს ნაგებობა საინტერესოა, როგორც XX საუკუნის შუა პერიოდის თბილისის საგანმანათლებლო ფუნქციის ნაგებობა განსაზღვრული სტილის (სტალინისტური ფასადის) და სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი ეტაპის ამსახველი რეალობა. სახლი თავისი მოცულობითა და დეკორით შემკული ფასადებით, მიკროუბნის დომინანტს წარმოადგენს. შენობა მკაფიო აქცენტს ქმნის და განსაზღვრავს განაშენიანების ხასიათს.

სტატუსი – ეს ნაგებობა მიჩნეულია საქართველოს ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლად.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/
ძეგლის საალრიცხვო ბარათი № 011702804



1. სახელწოდება — საჯარო სამართლის იურიდიული პირი, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**;
2. მისამართი — საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას 69;
3. სახეობა — არქიტექტურული ნაგებობა;
4. თარიღი — მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი.

საალრიცხვო ბარათი

დასკვნა და რეკომენდაციები:

ეს ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია და მისთვის ეს სტატუსი მნიშვნელოვანწილად მინიჭებულია როგორც ნაგებობის საფასადო გაფორმების, ასევე გეგმარებითი სტრუქტურის გამო.

საარქივო და ადგილზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა შემდეგი:

1. შენობა, 1948 წელს დამტკიცებული პროექტის მიხედვით (არქიტექტორი მ. შავიშვილი) აგებულია 1956 წელს;
2. ამ ნაგებობაში ფიქსირდება გარკვეული ფუნქციონალურ-გეგმარებითი ცვლილებები. ინტერიერის სივრცეში იკვეთება ჩატარებული რემონტის კვალი;

3. დაზიანება – ნაგებობის კონსტრუქციული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა მოძველებულია ინტერიერი, ჭერი, იატაკი, კარ-სარკმელი და მოწყობილობა.

4. საფასადე ცვლილებები – ქუჩის ფასადის მხატვრული გაფორმება მთლიანად შენარჩუნებულია რამდენიმე გამონაკლისის გარდა – დაემატა მანსარდა ჩრდილოეთ მართკუთხა ოთხსართულიან ფლიგელზე;

5. ფასადის ფერი არ შეესაბამება პირვანდელ ფერს. გამოყენებულია სამი ფერი - ღია ყვითელი, პორტიკში მწვანე და ორნამენტებსა და მოჩარჩოებაში თეთრი. მნიშვნელოვანია ავთენტურობის შენარჩუნების მიზნით დადგინდეს ფასადის თავდაპირველი ფერი. ჩატარდეს საღებავის ფენების ლაბორატორიული კვლევა, რომელიც დაევალება ძეგლთა კვლევისა და კონსერვაციის ცენტრს.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები შესაძლებელია იყოს ზოგადი და კონკრეტული. შენობის ინტერიერში შეინიშნება მცირე გეგმარებითი და სტრუქტურული ცვლილებები. მომავალში, უნდა შევძლოთ, რომ მაქსიმალურად შევინარჩუნოთ შენობის თავდაპირველი არქიტექტურულ-მოცულობითი და ფუნქციონალურ-გეგმარებითი სტრუქტურა.

1. მოსაწესრიგებელია და შესაკეთებელია საწვიმარი მილები;

2. მნიშვნელოვანია რომ, არ შეიცვალოს ფასადების დეკორი, სარკმლების ალათების ისტორიული ფორმა, ნახატი და რა თქმა უნდა გაბარიტები, როგორც მთავარი ფასადის, ასევე არსებული ფასადების შიგა ეზოს მხრიდან;

3. მოსახსნელია საჰაერო გამწოვი დეგრადირებული მილები, რომლებიც შემორჩენილია ეზოს უკანა ჩრდილოეთ ფასადის სარკმლებში და შესაძლებელია მათი გამოცვლა თანამედროვე დიზაინის ახალი მილებით;

4. ძეგლთა კვლევისა და კონსერვაციის ცენტრის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად (იხ.დანართი) დადგინდა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსის ფასადის თავდაპირველი ფერი (მის.: მერაბ კოსტავას #69ა) იქნებოდა ბაცი ცისფერი. აქედან გამომდინარე ავთენტურობის შენარჩუნების მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსის ფასადი უნდა შეიღებოს ბაცი ცისფერით.

რეკომენდაცია: იმის გათვალისწინებით, რომ ესთეტიკური აღქმა ნაწილობრივ დაკავშირებულია კონკრეტულ ეპოქასთან, კერძოდ საბჭოთა პერიოდთან, 1948-1956 წწ., ვთვლი, რომ ქალაქის ამ უბნისა და შენობის დღევანდელი, ახლებური, ამ ეპოქისთვის შესაფერისი მხატვრული სახის წარმოსაჩენად ეს ფერი ნაკლებად მისაღებია. ბაცი ცისფერი ახლოს დგას ბაც ნაცრისფერთან, ამიტომ შესაძლებელია მისი დაშვებაც. პორტიკისა და ცალკეული ორნამენტული დეტალების გამოკვეთის მიზნით სასურველია შენობის ამ ნაწილის თეთრად, რაც შესასვლელი პორტიკის აქცენტირებას მოახდენდა და ერთმნიშვნელოვნად არ დაარღვევდა შენობის მთლიან მხატვრულ აღქმადობას.

არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი
10.10.2021 წ.

მ. დავითაია

დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კორპუსი

საღებავის ფენების ლაბორატორიული კვლევა

შემსრულებელი: ძეგლთა კვლევისა და კონსერვაციის ცენტრი

კვლევის ავტორები:
ნანა კუპრაშვილი
ნუცა პაპიაშვილი



ოქტომბერი, 2021 წელი

ნიმუში 1

ნიმუშის აღების ადგილი: II კორპუსის მთავარი ფასადი

დასკვნა: სავარაუდოდ თავდაპირველი ფერი იქნებოდა ბაცი ცისფერი.



ზემოთ: *ნიმუში N1-ის ზოგადი ფოტო*



ზემოთ: *ნიმუში N2-ის ზოგადი ფოტო*



ზემოთ: *ნიმუშის ზედაპირი, პორტატული მიკროსკოპით გადაღებული ფოტო, 50x გადიდება*



ზემოთ: *ნიმუშის ზედაპირი, პორტატული მიკროსკოპით გადაღებული ფოტო, 200x გადიდება,*

სტრატიგრაფიული ფენები:

- ფენა 5: ღია მწვანე საღებავის ფენა
- ფენა 4: ღია ყვითელი საღებავის ფენა
- ფენა 3: ღია ცისფერი საღებავის ფენა
- ფენა 2: თეთრი შეფერილობის გრუნტის ფენა
- ფენა 1: ნაცრისფერი შეფერილობის ნალესობის ფენა სილიკატური მინარევებით

ნიმუში 2

ნიმუშის აღების ადგილი: II კორპუსის ფასადის II სართული

დასკვნა: სავარაუდოდ თავდაპირველი ფერი იქნებოდა ბაცი ცისფერი.



ზემოთ: *ნიმუშის ზოგადი ფოტო*



ზემოთ: *ნიმუშის აღების ადგილი, პორტატული მიკროსკოპით გადაღებული ფოტო, 50x გადიდება*



ზემოთ: *ნიმუშის ანათალი, პორტატული მიკროსკოპით გადაღებული ფოტო, 50x გადიდება*



ზემოთ: *ნიმუშის ანათალი, პორტატული მიკროსკოპით გადაღებული ფოტო, 200x გადიდება,*

სტრატიგრაფიული ფენები:

- ფენა 5: ღია მწვანე საღებავის ფენა
- ფენა 4: ღია ყვითელი საღებავის ფენა
- ფენა 3: ღია ცისფერი საღებავის ფენა
- ფენა 2: თეთრი შეფერილობის გრუნტის ფენა
- ფენა 1: ნაცრისფერი შეფერილობის ნალესობის ფენა სილიკატური მინარევებით